ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების
დანართი 1 – *(კოდიფიცირებულია ცვლილებებით:*
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შემდეგში „ხარისხის მექანიზმები“) შემუშავებულია ბსუ-ს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ხარისხის კონტროლის (არსებული მიღწევების შენარჩუნების) და ხარისხის განვითარების (მუდმივი ზრუნვა ხარისხის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის) უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი

1. ბსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. *(ცვლილება - 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)*
2. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **დაგეგმვის** ეტაპზე ბსუ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს 7 წლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარების და 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას (მისიასთან თავსებად მიზნების, ამ მიზნების შესაბამისი ამოცანებისა და განსახორციელებელი აქტივობების განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები; სამოქმედო გეგმის შედგენისას საჭირო რესურსების განსაზღვრა, სტრატეგიული დაგეგმარებისას ქვეყნის/რეგიონის პრიორიტეტების და დაინტერესებული მხარეების მოლოდინის გათვალისწინება და სხვა).

3. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **განხორციელების** ეტაპზე სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება: *(ცვლილება - 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)*

ა) სწავლებაზე დასწრების ორგანიზება და გამოცდილებათა გაზიარება, სწავლების ანალიზი დასწრების კითხვარის გამოყენებით.

ბ) სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;

გ) პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

დ) პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა;

4. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **შეფასების** ეტაპზე სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას, სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება: *(ცვლილება -2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)*

ა) მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლით;

ბ) მეცადინეობებზე დასწრება და ანალიზი;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა და ანალიზი;

დ) სასწავლო პროცესის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;

ე) პროფესიულ მასწავლებელთა შეფასება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი;

ვ) კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზი;

ზ) დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით და ანალიზი;

თ) დასაქმების სტატისტიკის წარმოება.

5. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის **განვითარების** ეტაპზე: *(ცვლილება - 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)*

5.1 ხდება შეფასების ეტაპზე მოგროვებული ინფორმაციის ანალიზი, მიღწეული შედეგების შედარება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან და გადაწყვეტილების მიღება;

5.2 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტრენინგები;

5.3 არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

5.4 გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/ პროგრამების გასაუმჯობესებლად.

6. მეცადინეობებზე დასწრების, კმაყოფილების კვლევის, თვითშეფასების კითხვარების ფორმები არ მტკიცდება. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/ კითხვარი და სხვა ფორმა; *(ცვლილება - 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)*

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მისაღები გადაწყვეტილების ტიპი გამომდინარეობს პრობლემის ხასიათიდან და შეიძლება იყოს:

ა) მაკორექტირებელი ტიპის - რომელიც გულისხმობს დაუყონებლივი გადაწყვეტილების მიღებას ისეთი პრობლემების შემთხვევაში, რომლებიც ერთჯერადად იჩენენ თავს და არ აქვთ რეგულარული ხასიათი;
ბ) ადაპტაციური ტიპის - რომელიც გულისხმობს დაწესებულებაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას და გამოიყენება ისეთი პრობლემების მოგვარებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ განმეორებითი ხასიათი;
8. ადაპტაციური ტიპის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნდა შედგეს გაუმჯობესების გეგმა, რომლის აქტივობები, თავიხ მხრივ, ხდება ბსუ-ს შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის ნაწილი.
9. *(ამოღებულია - 2022 წლის 25 ოქტომბრის N01-02/252 ბრძანება)*